წერილის ნომერი: **18-01192462640**
თარიღი: **03/09/2019**
პინი: **3118**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“), განიხილა თქვენი 2019 წლის 19 აგვისტოს #60-01192312473 წერილი და AR1690358 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე გიორგი ჭუმბურიძის მომართვის საფუძველზე, შპს „პოუერ გრუპ 2000-ის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა #50ა, ს.კ: #01.13.01.018.175) (ფუნქციური ზონა: სზ-3), IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, გასამწვანებლად შემოთავაზებული არიზონას კვიპაროსელა, ასევე სფეროსებრი კვიპაროსელა, უნდა ჩანაცვლდეს სხვა სახეობის მწვანე ნარგავით (ალვის/ვერხვის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა).

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს გამწვანების პროექტში მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ხეების დარგვა.

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო, 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის. ფოთლოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი).

იმისთვის, რომ სამსახურმა შეითანხმოს პროექტი, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24

მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-40 მუხლის მე-3[1] პუნქტისა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, განმცხადებელმა საინფორმაციო დაფის გამოკვრამდე მასში უნდა

შეიტანოს შემდეგი ცვლილებები: უნდა მიუთითოს გამწვანების პროექტის დასრულების კონკრეტული წელი და კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი.

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი